# ახალი ნაკადი

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია.

კვირა 6, აპრილი

№ 19 1919 წ.

გაზეთი ამთავითვეგამოვა კვირაში ერთხელ — კვირაობით


ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს დილის 10 საათზე საქართ. საზოგადოების დარბაზში (პუშკინის სამკითხველოს ზედა სართული) თავი უნდა მოიყაროს ყველა ამხანაგმა, საიდანაც კონფერენციის წევრებთან ერთად გავემგზავრებით **არჩილ ჯორჯაძის** საფლავზე.

---

**ტფილისი აპრილის 6 1919 წ.**

**ექვსი წლის თავი.**

უკვე ექვსი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც წუთისოფელს განშორდა სახელოვანი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე—დაუვიწყარი **არჩილ ჯორჯაძე**.

ჩვენის ღრმა რწმენით, დიდის მოწიწებით და სიყვარულით მოიგონებს ამ მადლიანი ადამიანის ხსოვნას ყველა, რომელ ჯგუფსაც, თუ მიმართულებასაც არ ეკუთვნოდეს იგი. არჩილს ჰქონდა სხვა ღირსებათა შორის ერთი უდიდესი ღირსება: იგი ატყვევებდა მკითხველს, ჰხიბლავდა მსმენელს და თვისი სულის სიფაქიზით და სინაზით საყოველთაო სიყვარულს იწვევდა. ჩვენ კარგად გვახსოვს ის მომენტები, როდესაც ბევრ ქართველს მოღვაწეს უთქვამს: თუ არჩილი გაგვამტყუნებ მზად ვართ ხელი ავიღოთ ს[illegible] გადოებრივ მოღვაწეობაზე. ნათელი პიროვნება იყო საქართველოში ახალი მიმართულების — **ს. ფედერალიზმის** მოციქული. ჩვენ, ახალი ჯგუფი, რომელიც „ახალი ნაკადის" გარშემო შემოვკრბით, ვამაყობთ იმით, რომ საქართველოში ჩვენი მრწამსის ერთი მოძღვართაგანი—გახსენებული არჩილიც იყო. დიახ, ჩვენ ამ მხრივ ბედნიერი ვართ, რომ გვაქვს მისი მადლიანი ხელით დაწერილი თხზულებები, სადაც ჩვენი პრინციპებია გაშუქებული. შეიძლება ჩვენ ამ გაშუქებაში ზოგიერთი კორექტივი შევიტანოთ, მაგრამ უმთავრესი დებულება მიცვალებული მოძღვრისა ჩვენი მრწამსია, ცხოვრებაში სამოქმედოდ რომ გვიხმობს. ეჭვი არ აქვს, არჩილი გაიხარებდა, რომ საშუალება ჰქონდეს იხილოს ახალი ჯგუფის მისი ცნებების სამსახური. ვიცით, გვეტყვიან, არჩილი თქვენი არ არის, განსაკუთრებით 1907 წლიდანო. მაგრამ ამ ჟამად როდესაც ძვირფასი მასწავლებლის საყვარელ სახელს ვიგონებთ, კამათისათვის არ გვცალია. მოვუწოდებთ ამხანაგებს, რომ დღეს უფრო მეტი გრძნობით, ვიდრე უწინ, მივიდეთ არჩილ ჯორჯაძის საფლავზე და მოძღვარს გული გადაუშალოთ...

---

## არჩ. ლ ჯორჯაძე მემარცხენე სოციალიზმ-ფედერალიზმისა საქართველოში

ამონაწერი მისივე წიგნიდან **ძველი და ახალი** კრიტიკა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა და განმარტება სოციალიზმ ფედერალიზმისა.

თავი პირველი

**შესავალი**

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ამ ჟამად კრიზისს განიცდის. ამ კრიზისის შესახებ გვინდა ჩამოვსგდოთ ლაპარაკი. ვგონებ, ამხანაგები არ დაგვემდურებიან შინაურ საქმეების გარედ გამოფენისათვის, მით უმეტესად, რომ ამ „შინაურ საქმეებს" საზოგადოებრივი ხასიათი აქვს.

კრიზისის თვისებას და შინაარსს რომ დავაკვირდეთ, ადვილათ დავინახავთ, რომ ეს კრიზისი იმ გვარივე ხასიათისა, რა ხასიათის კრიზისს განიცდიან დღეს პოლიტიკურ ხასიათის [illegible] სოციალისტური პარტიები [illegible] თუ [illegible]პაში. საქმე ის არის, [illegible] სოციალისტური მოძღვრება, ერთის მხრივ, ცხოვრებაში არსებულ კლასთა ბრძოლის გამოსახვაა, მეორეს მხრივ, განხორციელება საზოგადოებრივ წარმოებისა არა კლასურ ნიადაგზე კლასთა მოსპობით სოციალისტური პარტიები ამ მოძღვარებას, მართალია, აღიარებენ, ხოლო თავიანთ პრაქტიკულ მოქმედებით ყოველ ნაბიჯზე უარჰყოფენ ამ მოძღვრების დედააზრს—კლასთა ბრძოლის. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შეცდომანიც სწორედ ამ ხასიათისაა. ამ პარტიამაც, სხვებსავით კლასობრივ ნიადაგზე დგომის მაგივრად, დემოკრატიული პლატფორმა გაიხადა ბრძოლის ნიადაგად. და რაკი შესდგა დემოკრატიულ ნიადაგზედ სახელმწიფოს ქსელში გაება, სოციალიზმი ფრაზეოლოგიად გაიხადა და ამ ფრაზეოლოგიიდან ვერ იხსნის პარტიას, მის მიერ აღიარებული მიწის სოციალიზაციის ვითომდა სოციალისტური პრინციპიც კი.

ამ განსაცდელის თავიდან ასაცილებლად ჩვენ გვინდა ხელმეორედ გადავსინჯოთ საპროგრამო კითხვები და ამ სახით გასავალი მივცეთ იმ უკმაყოფილების გრძნობას და ძიების სურვილს, რომელიც კარგა ხანია გაღვიძებულია პარტიის ერთს ფრაქციაში. ჩვენს კრიტიკას, მსჯელობას და გამოკვლევას დავამყარებთ სამ მთავარ პრინციპზე, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს, ჩვენის შეხედულობით, ყოველმა სოციალისტურმა პარტიამ. პირველი პრინციპი არის სახელმწიფოს უარყოფის საჭიროება სოციალიზმის განხორციელებისათვის. სახელმწიფო ყოველთვის იყო, არის და იქნება კერძო საკუთრების დარაჯი. ამიტომ, ვინც სოციალიზმის განხორციელებას ცდილობს, იგი უნდა მოქმედობდეს სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა წრის გარეშე და სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი სოციალიზმის განხორციელების საქმეში არამც და არამც იარაღად არ გამოიყენოს.

მეორე პრინციპი, სოციალისტური პარტია უნდა ემზადებოდეს თავის მისიის ასრულებისათვის გამუდმებულ ბრძოლის საშუალებით. ბრძოლა უნდა იყოს მიმართული კერძო საკუთრების მეფობის წინააღმდეგ. სოციალისტურმა პარტიამ უნდა წამოაყენოს საწარმოვო ყველა იარაღთა სოციალიზაციის აუცილებლობა. ამ საქმისათვის პარტია უნდა ემზადებოდეს დღესვე. საშუალება—საყოველთაო გაფიცვაა. საყოველთაო გაფიცვა მოახდენს მიწის და კაპიტალის ექსპროპრიაციად უნდა გადაიქცეს...

მესამე პრინციპი, სოციალისტურ ორგანიზაციას წმინდა კლასური ხასიათი უნდა ჰქონდეს სოციალისტური პარტია უნდა იყოს პარტია მშრომელებლებისა, მშრომელი ხალხისა არა მარტო თავის იდეურ მიმართულებით, არამედ თავის შემადგენელ ელემენტებითაც. პარტიის წევრებს წარმოებასთან უნდა ჰქონდეთ კავშირი ეგრედ წოდებული სოციალისტური ინტელეგენცია ხელმძღვანელი და ბატონი კი არ უნდა იყოს პარტიაში, არამედ მსახური და ხელქვეითი მწარმოებელ ორგანიზაციებისა.

**ბურჟუაზიული და სოციალისტური ფედერალიზმი**

პირველი ნაკლი გამოისახება იმაში რომ პარტია (რადგან იგი პოლიტიკურია) ემსახურება სახელმწიფოებრივ ანუ ბურჟუაზიულ ფედერალიზმს. არის ფედერალიზმი ბურჟუაზიული და ფედერალიზმი სოციალისტური. ფედერალიზმი ბურჟუაზიული არის კავშირი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისა ანუ კანტონებისა. სოციალისტური ფედერალიზმი არის კავშირი მშრომელი ამხანაგობათა და ორგანიზაციათა. ბურჟუაზიული ფედერალიზმი ხელუხლებელ ჰყოფს სოციალისტურ უთანასწორობას, არ არღვევს იმ წყობილებას, რომელიც კერძო საკუთრებასა და ყვლეფა-გლეჯაზეა დამყარებული. სოციალისტური ფედერალიზმი ძირს უთხრის კერძო საკუთრებას, ასაზოგადოებს შრომის იარაღს —მიწას და ქარხანას. გასაზოგადოებული საწარმოვო იარაღი მშრომელთა ორგანიზაციების ხელში გადადის. მშრომელი ორგანიზაციები (სოფლისა თუ ქალაქისა) ერთმანეთს ფედერატიულად ეკავშირებიან და ამ სახით ფედერაცია თავისუფალ ორგანიზაციების თავისუფალ ფორმად ხდება.

უნდა ავირჩიოთ ან ერთი ან მეორე ფედერალიზმი. ერთმანეთში კი ამ ორ მცნებას ნუ გავრევთ. სოციალისტ-ფედერალისტებსკი (პარტიის ერთ ნაწილს მაინც) ეს ორი მცნება ერთმანეთისაგან ვერ განუსაზღვრავთ.

მეორე ნაკლი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიულ პროგრამისა ის არის, რომ საწარმოვო იარაღთა სოციალიზაციის კითხვა შეკვეცილია პარტიამ ბხოლოდ ერთი ნაბიჯი გადასდგა სოციალიზაციისაკენ. მან აღიარა მიწის სოციალიზაცია, ხოლო სხვა საწარმოვო იარაღის შესახებ სდუმს. ქარხნების და საზოგადოთ კაპიტალის სოციალიზაცია მას საბოლოვო საქმედ მიაჩნია. ხოლო ამ მიზნის მისაღწევად კი მას სწადია სოც.-დემოკრატებისა არ იყოს, „მუშათა კანონმდებლობის" საქმე გამოიყენოს იარაღად, სწორედ აქ იმალება სისუსტე და შინაური წინააღმდეგობა პარტიის პოზიცია. „მუშათა კანონმდებლობა" ვერ შეჰქმნის საჭირო პირობებს სრულ სოციალიზაციის განხორციელებისათვის, კანონმდებლობის თვისება ხომ დემოკრატიზმის გამტკიცებაა, კერძო საკუთრების გამაგრება და რევოლიუციის ალაგმვა. კანონმდებლობა, გინდ მუშათა კანონმდებლობა, ბურჟუაზიის გამაგრებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე მუშებს უკაფავს განთავისუფლების გზას სწორედ ამ მოსაზრების ძალით მუშათა კანონმდებლობის მუხლების ჩაწერა კი არ არის საჭირო პროგრამაში, არამედ საწარმოვო ყველა იარაღთა ექსპროპრაციის საჭიროება საყოველთაო გაფიცვის მოწყაობით, რისთვისაც დღესვე უნდა ემზადებოდეს მშრომელი ხალგი და რაიც იქნება დასაწყისი სოციალურ რევოლიუციისა.

**არჩილის აზრი პარტიის შემდგენლობაზედ.**

მაგრამ არის კიდევ ერთი საგანი, ფრიად დიდ მნიშვნელოვანი საგანი, რომლის განმარტებას პარტიულმა პროგრამამ უნდა მიაქციოს ყურადღება. ვისგან შესდგება პარტია, ვინ უნდა იყოს ჩათვლილი პარტიის წევრად—ყოველი ადამიანი, ვინ თანაუგრძნობს პარტიის პრინციპს, თუ ყოველი ადამიანი, ვისის აზრით პარტია იცავს მის და მის მსგავსების მატერიალურ ინტერესებს? თუ პროგრამა შრომას დამცველია, პარტიის ევრადაც შრომის წარმომადგენელი უნდა იყოს, თუ წარმოების გარეშე მდგარ ჯგუფსაც შეუძლიანთ შევიდნენ პარტიის წრეში?

ამ კითხვას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ სოციალისტური პარტიები პოლიტიკურ ხასიათისა მეტად აჭრელებულ სურათს წარმოადგენენ. ამ პარტიების ის ელემენტი, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას არ იღებს წარმოებაში, პარტიულ მოქმედებას იმ გვარ მიმართულებას აძლევს, რომელიც არამც თუ უსარგებლოა პარტიის მშრომელ ნაწილისთვის, არამედ მავნებელიც არის მისთვის. პროლეტარიატის განთავისუფლება უნდა მოხდეს მისივე ძალღონით და კლასიურ ნიადაგზე გამართულ ბრძოლის საშუალებით. ეს არის დევიზი მშრომელ ხალხისა, სოციალისტურ პარტიების ინტელიგენცია კი არ არწმუნებს პროლეტარიატს, რომ მისი განთავისუფლების საქმე უნდა ჩაჰბარდეს ინტელიგენციას, დეპუტატებს, რომელნიც პარლამენტში (ბურჟუაზიულ კლასურ დაწესებულებაში) დაიცავენ პროლეტარიატის ინტერესებს და რომელნიც პარლამენტში შემუშავებულ სოციალისტურ რეფორმების საშუალებით განახორციელებენ პროლეტარიატის იდეალს, აქ არის ძირითადი წინააღმდეგობა პროლეტარიატის და სოციალისტურ ინტელიგენციის მისწრაფებათა შორის. ეს წინააღმდეგობა პროლეტარიატის ყველა ნაწილებში ჯერ კიდევ არ არის შეგნებული, ხოლო იქ, სადაც ამ გვარი შეგნება უკვე დაბადებულია, ძირიანადაც არის შეცვლილი პროლეტარიატის და სოციალისტურ ინტელიგენციის ურთიერთობა, იქ პროლეტარიატმა უარ-ჰყო ინტელიგენციის დიქტატურა, პარლამენტარიზმი და პოლიტიკანობა, იქ სოციალისტურ ინტელიგენცია პროლეტარიატის მეთაურად და წარმომადგენლად კი არ გამოდის, არამედ მის მსახურად, დამხმარებელ აგენტად.

**ავტონომიის დაცვაზე არჩილის აზრი.**

დავუბრუნდეთ თვით ავტონომიის დამცველთ, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის ფრიად საყურადღებო გარემოება, რომ, რაც უფრო მეტად ვრცელდებოდა ავტონომიის აზრი საქართველოში, უფრო მეტად შორდებოდა ეს აზრი იმ შეხედულებას, რომლის დამცველი ორგანო „საქართველო" იყო და პირველ ხანებში „ცნობის ფურცლის" ზოგიერთი პუბლიცისტი. ამ დაშორებას ხელი შეუწყო, ერთის მხრით, თავად-აზნაურობამ, რომელმაც მხარი დაუჭირა ავტონომიის აზრს, მეორეს მხრივ, ქართველმა ნაციონალურმა ჯგუფებმა რომელთაც სხვა შინაარსი მისცეს ავტონომიის ცნებას. შესანიშნავი ის არის, რომ დღეს მარტო ავტონომიაზე არის ლაპარაკი, ფედერალიზმი სადღაც მიჩქმალეს. კავკასიის ფედერაციის შესახებ ლაპარაკი ხომ სამშობლოს მოღალატეობის საქმედ მიაჩნიათ. ჩვენ არას ვიტყვით იმ შემთხვევაში, რომ ამ გვარ აზრების გავრცელებაში მარტო ნაციონალ-დემოკრატებს ედებოდეთ ბრალი. საქმე ის არის, რომ სოციალისტ-ფედერალისტების პუბლიცისტები დღეს არამც თუ ეწინააღმდეგებიან ამგვარ მიმართულებას, არამედ თითქოს ხელსაც უწყობენ და თანაუგრძნობენ მას. შორს რომ არ წავიდეთ, მოვიგონოთ თუნდა კავკასიის იურიდიულ საზოგადოებაში გამართული კამათი ავტონომიის შესახებ*) მართალია, ამ კამათში სოციალისტ-ფედერალისტები თითქმის არ იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ პრესაში არსად გამოუთქვამთ პროტესტი: და რაც სთქვეს, ქართველ ნაციონალისტების მიერ იურიდიულ საზოგადოებაში გამოთქმულ აზრებს ეთანხმებოდა.**) ეს კამათი საყურადღებოა და შევჩერდეთ მასზედ.

ქართველი ორატორები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ავტონომია უნდა მიენიჭოს, რადგან ქართველებს ტერიტორია აქვთ და ისინი კულტურით სხვა კავკასიელებზე უფ-

---

*) იხ. „შრომა" № 13, 18

**) იხ. წერილი „კანტონი თუ ავტონომია?" „შრომა" № 27



# † არჩილ ჯორჯაძე.

რო მაღლა სდგანან. კავკასიის ავტონომია ვერ დაარსდება, რადგან კულტურული დასავლეთი (საქართველო) უკულტურო აღმოსავლეთს ვერ დაეკავშირებაო. სომხის ორატორები, თავის მხრივ, მომხრენი იყვნენ კავკასიის ავტონომიისა, ხოლო საქართველოს ავტონომიის გახსენება კი მათ სალერღელს უშლიდა; ასე რომ, კითხვა მოკამათეებმა ასე დააყენეს— ან საქართველოს ავტონომია ან კავკასიის ავტონომია, ერთიც და მეორეც კი ერთად შეუძლებელიაო. აი ტიპიური ნიმუში რომ მოპირდაპირე ნაციონალისტურ ჯგუფების კამათისა ორივე იცავდნენ იმას, რაც მათის კლასებრივ ინტერესების სასარგებლო იყო.

**პარტიისაგან ფედერალიზმის ღალატზე არჩილის აზრი.**

და თუ სოციალისტ-ფედერალისტები კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგნი არიან, ისინი უკანონოდ ატარებენ ფედერალისტების სახელწოდებას. სოციალიზმთან (სახელმწიფოებრივ სოციალიზმთან, რომელსაც აღიარებენ) ხომ არავითარი კავშირი აღარ ექნებათ. შეიძლება პარლამენტალურ მოქმედების მომხრე სოციალისტები იყოთ, ხოლო არ უარ-ჰყოფდეთ იმ ფაქტს, რომ განჯის და ბაქოს გუბერნიის გლეხები და მუშები იმავ ტანჯვით იტანჯებიან, რა ტანჯვაშიაც ქართველი გლეხები და მუშები არიან და რომ ყველა ამათთვის ერთი გზა არის, ერთი საშუალებაა თავისუფლების მოპოვებისათვის. და თუ ეს ასეა, ნუ თუ ხმას ვერ გაწყვეტინებდით იმ ქართველ შოვინისტებს, რომელნიც იძახდნენ, ქართველებს და კავკასიელ დანარჩენ ხალხებს შორის არავითარი საერთო ინტერესი არ არის და კავკასიის ფედერაციის შესახებ ლაპარაკიც კი არა ღირსო?!

ამ რიგად ვხედავთ, რომ ავტონომიის და ფედერაციის კითხვას დიდი განსაცდელი მოელის, სოციალ-დემოკრატები არსებითად წინააღმდეგნი არიან ერთისა და მეორისაც. სოციალისტ-ფედერალისტები არ იცავენ სოციალისტურ ფედერაციას, ხოლო სახელმწიფოებრივი ფედერაციასაც ღალატობენ. საგანი კი ფრიად სერიოზნულია და მის განმარტებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

**არჩილის აზრი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაზედ**

ამ გვარი პრინციპების წინააღმდეგ ბევრნი აგვიმხედრებიან და მათ შორის სოციალ-დემოკრატებიც. რომელნიც ლამის ავტონომიაზედაც დათანხმდნენ, ოღონდ უვნებლად დარჩეს მათთვის საყვარელი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. არა, გვეტყვიან ისინი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია საჭიროა პროლეტარიატის განთავისუფლების საქმისათვის. ჯერ ხნობით სახელმწიფურ ორგანიზაციას იმ სახით გამოვიყენებთ, რომ მას გავადემოკრატებთ, შევქმნით შრომის დამცველ კანონებს, ეს ერთი. ხოლო მეორე ისა, როდესაც რიცხვით უმრავლესობას შევადგენთ პარლამენტში, დავიპყრობთ სახელმწიფურ მართვაგამგებლობის ძალას, ხელში დავიჭერთ მართველობის მექანიზმს, გამოვაცხადებთ პროლეტარიატის დიქტატურას და განვახორციელებთ კოლექტივიზმსო.

ჩვენ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მუშათა კლასი, დემოკრატიული კანონმდებლობას რომელიც იურიდიულ ნორმებში ათავსებს შრომისა და კაპიტალ შორის ატეხილ ბრძოლას, ასუსტებს და ძირს უთხრის სარევოლიუციო ენერგიას. გვექნება ლაპარაკი იმის შესახებაც, რომ ძველ „ინტერნაციონალს“ არაფრად სწამდა დიქტატურის პრინციპი და მართვა-გამგებლობის მექანიზმის დაპყრობას პროლეტარიატის მიერ, არ უყურებდა როგორც იმგვარ საშინლებას, რომლის ძალით სოციალური რევოლიუცია უნდა განხორციელდეს.

აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ კომუნისტური წყობილება იქნება განხორციელებული დეკრეტების საშუალებით კი არა, არამედ თავისუფალ საზოგადოებრივ ძალების მიერ. კერძო საკუთრების გაუქმებისათვის სახელმწიფოებრივ მექანიზმის დაპყრობა კი არ არის საჭირო არამედ მისი დამხობა და ძირიან ფესვიანად აღმოფხვრა. ამიტომ, ჩვენის აზრით, სოციალური რევოლიუცია ზევიდან კი არ დაიწყება, არამედ ქვეიდან, იგი იქნება პირისპირი შეტაკება შრომისა და კაპიტალისა, ერთის მხრივ შრომისა და სახელმწიფოსი, მეორე მხრივ,

**არჩილის შეხედულება სახელმწიფოზედ**

რად არსებობს სახელმწიფო? რა არის მისი არსებითი თვისება? საჭიროა იგი, თუ არა ადამიანთა და ერთა ურთიერთობის განმტკიცებისათვის? ყველა ამ კითხვაზე აუცილებლივ უნდა გვქონდეს მარტივი და ნათელი პასუხი და ეს განსაკუთრებით იმიტომ, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება როგორც ქსელში ისე არის გაბმული სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ორგანოებში, თუ სახელმწიფო თავის ორგანოებითსა სარგებლო და აუცილებელი დაწესებულებაა; მაშინ არა გვეთქმისრა ამ ქსელის წინააღმდეგ. ხოლო თუ იგი ხუთავს ჩვენ თავისუფლებას, არამკითხე აპეკუნობას გვიწევს, ქსელის დახევ-დაგლეჯაა მაშინ საჭირო.

ჩვენ აქ ისტორიულ გამოკვლევას არ გამოვუდგებით, არ განვმარტავთ იმას, თუ საიდან და როგორ წარმოსდგა სახელმწიფო. დავაკვირდებით მხოლოდ თანამედროვე სახელმწიფოს, მარტო რუსეთისას კი არა, არამედ საზოგადოდ. თანამედროვე საზოგადოებრივი მოძღვრებათა შორის სოციალიზმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფოს განმარტება-დაფასებაში. სოციალიზმმა აღმოაჩინა კლასობრივი ხასიათი თანამედროვე სახლმწიფოსი და დახატა იგი გაბატონებულ კლასების ხელში დამჩაგრავ ორგანოდ, ანარხიზმმა სრულიად უარ-ჰყო სახელმწიფო. თუ თანამედროვე სახელმწიფო დამჩაგრავია და კლასურ ხასიათიისა, საჭიროა მისი ძირითადი აღმოფხვრა, მით უფრო, რომ კლასთა გაუქმების შემდეგ მის არსებობას აზრი დაეკარგება.

სოციალ-დემოკრატები ამგვარ კატეგორიულ უარისყოფამდე არ მიდიან. მათი აზრით, მომავალშიაც იარსებებს სახელმწიფო, მხოლოდ ამ სახელმწიფოს მისი თანამედროვე ფუნქციები აღარ ექნება. ამ აზრთა განსხვავებაში იმალება არსებითი განსხვავება ანარხიზმის და სოციალ-დემოკრატიულ მოძღრაბათა შორის.

---

## შრომის ორგანიზაციის ესკიზი.

„ინტერნაციონალის“ დამაარსებელთა აზრით მომავალი საზოგადოება ავტონომიის და ფედერაციის საფუძველზე დამყარდება. ამ საზოგადოების ნიმუშად თვით „ინტერნაციონალის“ ორგანიზაცია უნდა გამხდარიყო. ამიტომ იყო, რომ „ინტერნაციონალის“ ფედერალისტები გალაშქრებულნი იყვნენ ცენტრალისტების წინააღმდეგ, რომელნიც ძირს უთხრიდნენ ავტონომიის პრინციპს „ინტერნაციონალის“ ორგანიზაციაში. იურის ფედერაციის მოწოდებაში ვკითხულობთ: „მომავალი საზოგადოება „ინტერნაციონალის“ ორგანიზაციის მთელს მსოფლიოში განხორციელება იქნება. ამიტომ ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რათა ეს ორგანიზაცია ჩვენს იდეალს მიუახლოვოთ. განა შეიძლება, რომ თავისუფალი და სწორუფლებიანი საზოგადოება ავტორიტარულ ორგანიზაციიდგან წარმოსდგეს? არა, შეუძლებელია. ინტერნაციონალი,—მომავალ საზოგადოების ჩამონასახი ეხლავე უნდა იყოს უტყუარი გამოსახულება თავისუფლებების და ფედერაციის პრინციპებისა. მან უნდა უარჰყოს ყოველი პრინციპი, რომელიც ძალა-უფლობისა და დიქტატურისაკენ გვიწოდებს *)." „ინტერნაციონალის“ მიერ აღნიშნული პრინციპები ნამდვილი პრინციპებია. მაგრამ „ინტერნაციონალის“ ორგანიზაციას ერთი ნაკლი ჰქონდა. ზოგიერთ სექციაში მწარმოებელნი ან სულ არ შედიოდნენ და თუ შედიოდნენ მათ მეორე ხარისხოვანი ადგილი ეჭირათ. „ინტერნაციონალი“ ნამდვილი ხასიათის მწარმოებელთა ორგანიზაცია არ იყო. მის წევრებად არა მუშებიც იყვნენ და ეს იყო, ჩვენის აზრით, სუსტი მხარე „ინტერნაციონალისა“ და მიზეზი ამ ორგანიზაციის დაშლისა.

*) Біографія Бакунина. Д. Гильома. Былое № 8 ст. 248.

თანამედროვე სინდიკალიზმი, რომელიც „ინტერნაციონალის“ თეორიულ ანდერძს პრაქტიკულად ანხორციელებს, დღეს უფრო მკვიდრ ნიადაგზე დამყარდა. მან თავისი ორგანიზაცია მწარმოებელთა კავშირებზე ააგო. „თანამედროვე მუშათა ბირჟები, ფედერაციები და ორგანიზაციები, ვკითხულობთ პროგრამის მეორე პროექტში, შეიცავენ წარმოების და მოხმარების ყველა ელემენტებს და ამისათვის როგორც წარმოების, ისე ნაწარმოების მოხმარება მათი საქმე უნდა გახდეს; დღეს ისინი მომავალ საზოგადოების ჩანასახს წარმოადგენენ—ხვალ ისინი გახდებიან მთელ საზოგადოებადო“ (გვ. 101). ეს მოსაზრება განუხორციელებელ უტოპიად არ მოგვეჩვენება, რომ ჩაუკვირდეთ იმას თუ როგორ გამოიყენა სინდიკალიზმმა „ინტერნაციონალის“ გაკვეთილი და როგორი ორგანოები ჰშობა, რათა თეორიულ იდეალს პრაქტიკული ხორცშესხმულობა მიეცა.

აღსანიშნავია თავდაპირველად მთავარი აზრი, რაზედაც დამყარებულაა სინდიკალიზმი. იგი მწარმოებელთა კავშირია, მასვე სურს გახდეს ნაწარმოების მომხმარებლად. ამიტომ იგი შრომის მოწესრიგების საქმეს თვითონვე კისრულობს და მაშასადამე უარჰყოფს ყოველივე დაწესებულებას, რომელსაც წარმოების შექმნა არ აქვს საფუძვლად. ვინც არ ივიწყებს სინდიკალიზმის ამ მხარეს, ის აღარ იტყვის იმას, ვითომ სინდიკალიზმი პარლამენტის წინააღმდეგ კი არ მოქმედობს, არამედ მარტოოდენ პარლამენტის გარედ, რა თქმა უნდა, მისი მოქმედება პარლამენტის გარედ სწარმოებს, ხოლო ეგ იმიტომ, რომ პარლამენტის არსებობას ნიადაგი გამოუთხაროს, რა ნაირად და რა საშუალებით?

მწარმოებელთა კავშირების ფედერაციები შრომის ბირჟებშია გაერთიანებული. შრომის ბირჟებიც ერთმანეთს უკავშირდებიან და ადგენენ შრომის ბირჟათა კონფედერაციას. ფრიად საყურადღებოა, თუ რა გვარ მუშაობას ეწევა შრომის ბირჟა და რა ხასიათის ორგანოები აქვს მას შექმნილი მუშების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და შრომის მოსაწესრიგებლად. საზოგადოთ რომ გადავავლოთ თვალი შრომის ბირჟათა მოქმედებას, დავინახავთ, რომ ამ ბირჟათა მოქმედება ფრიად რთული და მრავალფეროვანია. ბირჟებს აქვსთ დაწესებული ურთიერთ დამხმარებელი ორგანოები, ეხმარებიან უმუშევართა ადგილების მონახვით, მატერიალურ დახმარებით, აწესრიგებენ ეგრედ წოდებულს viaticnm-ს (ვიატიკუმ)—იკვლევენ რომელ მხარეშია სამუშაო და იქითკენ გზავნიან უმუშევართ თავიანთ ხარჯით. ბირჟებს სწავლა-განათლების საქმე აქვთ მოწყობილი. ამ საქმეს ხელს უწყობს ბიბლიოთეკების, პროფესიონალურ და საზოგადო განათლების კურსების დაარსება. ამგვარივე საქმეს ემსახურება სოციალური მუზეუმების გახსნა. ბირჟებს მოწყობილი აქვთ პროპაგანდის საქმე, პროპაგანდის სექციას ეკონომიურ და სტატისტიკურ ცოდნის გავრცელებას აქვს მიპყრობილი ყურადღება. გარდა ამისა, ბირჟები ბრძოლისა და წინააღმდეგობის გაწევისათვის საშუალებებს აწესრიგებენ. ამზადებენ გაფიცვებს, ადევნებენ თვალყურს კანონმდებელთა მოქმედებას და მათ წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან და სხვა. ხოლო ყველა ამასთან არ უნდა გვავიწყდებოდეს ერთი რამ: შრომის ბირჟები უმუშევართა ადგილების საშოვნელად დაწესებული ბიუროები არ არის, არც მარტოოდენ იარაღია კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ უფრო დიდი საქმე აქვთ გასაკეთებელი. **ისინი ჰქმნიან მომავალ საზოგადოების ახალ ფორმებს.** ყოველივე ეს უტყუარი ჭეშმარიტება რომ გახდეს ჩვენთვის, ზედმიწევნით დავაკვირდეთ სინდიკატების და მათ ფედერაციების, შრომის ბირჟების ორგანოების და სამოქმედო გეგმების ხასიათს.

ბირჟების ცდა მიმართულია იმაზე, რომ თავის მონოპოლიად გახადოს ყოველივე ის, რაც კი ხელს უწყობს მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ჩვენ აქ აღარ განვიმეორებთ სინდიკალიზმის შესახებ, რაც უკვე ბევრჯელ თქმულა, სხვათა შორის, „ძველ და ახალშიაც“. სახელდობრ, რომ სინდიკატები ორ მიზანს ემსახურებიან—ერთი არის საბოლოვო განთავისუფლება მუშათა კლასისა, მეორე შემსუბუქება მუშათა გაჭირვებულ მდგომარეობისა. აღარ ვიტყვით იმას, რომ ორსავე მიზანს **ერთის** საშუალების ერთის სარევოლიუციო ტაქტიკის მეოხებით ანხორციელებს იგი. აქ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება სინდიკალიზმის საორგანიზაციო უნარზე.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სინდიკალიზმი მუშების ხელმძღვანელობას არა კისრულობს მარტოოდენ, არამედ ცდილობს სოციალურ ცხოვრების შესწავლას, განმარტებას და ახალ საფუძველზე აგებას. საყურადღებოა, მაგალითად, სტატისტიკური ბიუროების მოქმედება. სტატისტიკური ბიურო იკვლევს, სად და რა ადგილს ესაჭიროება მუშა ხელი, სად რა ფასს აძლევენ მუშას, სად უფრო მოახერხებს მუშა-კაცი თავის ხელობის და ნიჭის დაგვარად მუშაობის შოვნას. ბიურო ჰქმნის შრომის ბაზარს. რა თქმა უნდა, შრომის ბაზარი ვერ მოსპობს იმ უბედურებას, რომელიც [illegible]ან სდევს ეკონომიურ კრიზისებს, როდესაც დიდ-ძალი მუშა უადგილოდ და ულუკმაპუროდ რჩება. ამგვარ კრიზისების შედეგებს თავიდამ აიცილებს ძირითადი გარდაქმნა საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ამ რიგად სტატისტიკურ ბიუროებს სწადდათ მხოლოდ შემსუბუქება მაშვრალთა და უბედურთა მძიმე ტვირთისა. საყურადღებოა აგრეთვე შრომის მუზეუმების დაარსება. ამ მუზეუმებში მუშის თვალ-წინ იშლება მთელი ისტორია იმ პროდუქტების შემუშავების პროცესისა, რომელიც ცხოვრებისთვის უდა მის გამშვენიერებისთვის არის საჭირო. აქ ირკვევა, თუ რა ფასი ეძლევა ამავე მასალას ქარხანაში გადმოტანის დროს, რა ჯდება გადმოზიდვა—ე. ი. იკვლევა, რამდენი იხარჯება ბაჟებსა, ტარიოებსა და შუამავლებში, რამდენი ჯდება მუშების საკვები, სადგომი, რამდენს და ასაღებს ფაბრიკანტი დამუშავებულ საქონელს, რა უჯდება მყიდველს პროდუქტი, რომელსაც აწვდის ფაბრიკანტი და სხვა. ყველა ამას რომ გაითვალისწინებენ მუშები, მათ ეცოდინებათ „საიდამ მოდის მატერია, რომელიც მათ ხელში უჭირავთ, სად, რა ქვეყნებში ამუშავებენ მას, რა ფასებში ყიდულობენ, რამდენი მუშაა საჭირო მის დასამუშავებლად, რა ქირას იღებენ, რამდენს ხარჯავენ ცხოვრებისათვის, დღეში რამდენ საათს მუშაობენ და წელიწადში რამდენ დღეს; რა ფასებში ნაღდათ იყიდება საქონელი. და რა ფასით წვრილ-წვრილად ისაღება. რამდენი მანქანა არსს საჭირო და რა თვისების და ნაყოფიერების მანქანებია, საქონელს რომ ამზადებენ. ყოველი ეს წარუდგებ თვალწინ მუშა-კაცს, იგი დაინახავს მუშის და კაპიტალის, მწარმოებლის და მომხმარებელის მდგომარეობას... წარმოიდგინეთ ახლა, რომ ამგვარივე მონოგრაფია არის მომზადებული ყოველ წარმოების დარგისათვის, რასაც კი ამოუშავებს კაცობრიობა. გამოკვლეულია ურალის მაღაროების, ვესტფალის და გარდის ნახშირის წარმოება... ცნობებია ბოჰემის ბრძოლის და პენსილვანიის შუშის შესახებ, აგრეთვე ინდოეთის ანდამანტის და გობელენის ნაქარგ ხალიჩეულობის შესახებ... ერთის სიტყვით, ცნობაში ნოყვანილია, ყოველივე ის, რასაც ერთის მხრივ თავმომწონე და ძუნწ ადამიანს სიხარულს, არტისტიულ კმაყოფილების და სიამაყის გრძნობას უბადავს, მეორეს მხრივ, რაც Iბადავს ამოდენა სილატაკეს, მოთმინებით ატანილ ტანჯვას და გულში ჩაკლულ მწუხარებას“! . *)

1896 წ. ქალაქ ტურში შრომის ბირჟების მეხუთე კონგრესზე, სხვათა შორის წამოყენებული იყო კითხვა, თუ რა მნიშვნელობა ექნებათ შრომის ბირჟებს მომავალ საზოგადოებაში? (Du rôle des Bourses du Travail pansla société future). ამ კითხვის განსამარტავად ნიმის (Nîmes) ბირჟის წარმომადგენელნი გამოვიდნენ. „რა ხასიათის მოქმედებას კისრულობს ბირჟა, კითხულობენ ისინი? უწინარეს ყოვლისა, მან ყოველ წამს უნდა იცოდეს ყველა ხელობის შესახებ ნამდვილი ცნობები: რამდენი კაცია უსაქმოდ, რა მიზეზების წყალობით შრომის და მუშათა ცხოვრების ყოველ-დღიურ პირობებში რაღაც აწეწ-დაწეწა ეპარება ხოლმე? გარდა ამისა სტატისტიკის წყალობით გამორკვეული უნდა იყოს, რა ჯდება ნამდვილად ერთი ადამიანის შენახვა და რა ქირას იღებს იგი, რა და რა ხელობის მუშა და მწარმოებელთა რაოდენობა უნდება თვითეულ დარგს რამდენს საქონელს ამზადებენ ქარხანაში, ან სასოფლო მეურნეობაში [illegible] გამოკვლევა ჯამი იმ პროდუქტებისა, რომელიც ესაჭიროება ხალხს სასიცოცხლოდ და საკვებად მთელ იმ მხარეში, სადამდინაც სწვდება შრომის ბირჟის მოქმედება. *) წარმოვიდგინოთ [illegible] მოხდა სოციალური რევოლიუცია. რა პოზიციას დაიჭერს [illegible] ხსენებრლ წარმომადგენელთა ანგარიშში ვკითხულობთ: „თვითეულ ხელობას თავისი ორგანიზაცია აქვს—სინდიკატი. თვითეული სინდიკატი ირჩევს საბჭოს, რომელსაც სახელად შრომის პროფესიონალური საბჭო ერქმევა. სინდიკატები ფედერაციებზე არიან დაკავშირებულნი ხელობის მიხედვით, როგორც ეროვნულად ისე ინტერნაციონალურად. საკუთრება კერძო აღარ არის. მიწა, მადნეულობა, ქარხნები, სახელოსნოები, რკინის გზები (გადატან-გადაზიდვის საშუალებანი), სახლები ყოველივე ეს საზოგადოებრივ საკუთრებად შეიქმნა... საზოგადოებას ესაჭიროება განსაზღვრული რაოდენობა პურისა და ტანთსაცმელისა... შრომის ბირჟებმა იციან, რამდენი ქარხნების მიერ დამზადებული საქონელია საჭირო?! აცნობებენ თვითეულ ხელობის შრომის შრომას პროფესიონალურ საბჭოს, რომელიც თავის პროფესიის ყოველ წევრებს ამუშავებს საჭირო პროდუქტების შესაქმნელად... სტატისტიკის წყალობით, ბირჟებმა იციან, განსაზღვრულ მხარეს, რა გვარი საქონელი ზედ-მეტად მუშავდება და რა გვარი ნაკლებად. მათის გადაწყვეტილებით მოხდება გაცვლა-გამოცვლა ერთმანეთში იმ პროდუქტებისა, რომელსაც განსაკუთრებულად კარგათ აწარმოებენ ამა და ამ მხარეს...“ *) ასავე საგნის შესახებ შრომის ბირჟათა ფედერატიული კომიტეტი ხსენებულ კონგრესზე ამნაირად სჯიდა: „სოციალურ რევოლიუციის მიზანია მოსპობა გაცვლა-გამოცვლის ღირებულობისა (la valeur p,ecahage), რომელსაც ჰქმნის კაპიტალი. ჩვენ პრინციპიდან გამოვდივართ, რომ რევოლიუციამ მარტო მმართველობისაგან (autorité) კი არ უნდა იხსნას ხალხი, არამედ ყველა იმ დაწესებულებებისაგანაც; რომელთა არსებობა წარმოების საჭიროებით არ არის გამოწვეული, მაშასადამე ჩვენი მომავალი საზოგადოება არის „მწარმოებელთა თავისუფალი კავშირები“. რაგვარ მუშაობას ასრულებენ ეგ კავშირები?.. „თვითეულ კავშირს წარმოების ერთი დარგი აბარია“.. კავშირის ორგანო სინდიკატი ან სინდიკატთა კავშირი, შრომის ბირჟა იკვლევს, „რამდენი მატერიალი მეზობლებს უნდა ეთხოვოს? როგორ უნდა განაწილდეს შრომა? როგორ უნდა დაარსდეს საზოგადო საწყობი? რანაირად უნდა გამოიყენონ მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული რამე ახალი გამოგონება?.. მუშათა კავშირებს შეგნებული აქვთ დამოკიდებულება წარმოებისა და იოხმარების შორის არსებული, ამიტომ ისინი ნაყოფიერად იყენებენ და ხმარობენ თავიანთ წევრების მიერ მომზადებულ საქონელს. მათ გამოანგარიშებული აქვთ აგრეთვე ის. რა აკლდებათ და რა ზედმეტად აქვთ მომზადიეული, ან ზედმეტ მოკავშირე მწარმოებლებს იწვევენ თავიანთ წრეში გარედან, ან იმას, რასაც მათი მიწა არ იძლევა, სხვა მხრიდან იბარებენ... შედეგი ამგვარ წესისა ის იქნება, რომ, მოისპობა რა უსარგებლო სოციალური ორგანოები, ორგანიზაცია უფრო სადა გახდება და ადამიანი მეტს და უკეთესს საქონელს შექმნის და მაშასადამე მას დარჩება ბევრი დრო გონებრივ განვითარებისათვის“...

გამოწერ ებით თავს აღარ მოგაბეზრებს პრობლემა წამოყენებულია. ნაჩვენებია ის გზა, რომელზედაც დგას მუშათა კლასის არა პოლიტიკური ორგანიზაციები, დასახულია არა მარტო ბრძოლის იარაღი, არამედ მომავალ საზოგადოების სტრუქტურა, მოწოდება-მოხმარების მომწესრიგებელი ორგანოები; გამოირკვა, რომ მუშათა ორგანიზაციები მარტოდენ ილუზიებით არა სცოცხლობენ, მათ აქვთ ხათვალისწინებული განსაზღვრული გეგმა ანარქიულ-კომუნიზმის განხორციელებისათვის. ეს გეგმა კაბინეტებში შემუშავებული სისტემა არ არის. იგია აშენებული მწარმოებელის ყოველდღიურ გამოცდილებაზე და სოციალურ ცხოვრების **რეალურ** პირობებზე. ხოლო, რა თქმა **უნდა, ყოველივე ეს უტოპიურია იმათთვის**, ვინც წარმოების გარედ სდგას და ვინც პირდაპირ მონაწილეობას არ იღებს სიმდიდრის აშენებაში. ამ ხალხისათვის სულ სხვა რამეა რეალური პირობები და რეალური პოლიტიკა. ეს ხალხი პოლიტიკური პარტიებია. ამ პოლიტიკურ პარტიებშია დარაზმული ხალხის ის უმცირესობა, როსელსაც ან წინად სჭერია ხელში ძალა-უფლობა, ან ეხლა სწადია ამ უფლობის ხელში ჩიგდება. პოლიტი-

*) Histoire bes Boursos qu Travail bar F. Peiloutioer pg. 114

*) იქვე გვ. 161.

*) იქვე გვ. 162.

კურ ბრძოლის ფილოსოფია ამაშია; მოდექ, გზა მომეც, რომ შენ ადგილას მე დავდგე და მე ვიბატონო. სოციალ-დემოკრატიის წყალობით მუშათა ერთი ნაწილიც არის შეპყრობილი ამგვარ ფილოსოფიით. მუშა კლასის მოსამხროაად და მოსახიბლავად დამზადებულია „სუვერინიტეტის“, „დიქტატურის“ და სხვა ამგვარი თეორიები; ხოლო ყველა ამ თეორიების წამოყენებაში მუშათა კლასის ცრუ იდეოლოგები არავითარ ორიგინალობას არ იჩენენ. აქ ყველივეა ნასესხები—აზრები, საშუალებები, ორგანოები, დაწესებულებები, ნასესხებია იმ სოციალურ წრიდამ, რომლის დანგრევა სწყურია პროლეტარიატს, და რა თქმა უნდა, ამ ნასესხებ და ძველ წყობილებისათვის გასოხადეგ საშუალებებს ახალ საზოგადოების ასაგებად ვერ გამოიყენებს პროლეტარიატი,..

ვიცი, ვიცი, წინდაწინვე ვიცი „თქვენი“ პასუხის ხასიათი. „პარლამენტარისმი“, „სრული დემოკრატიზაცია“, „უფლებრივი სახელმწიფო“—როგორც ნიადაგი სოციალიზმის განვითარებისა და სხვა ამგვარი! სოციალიზმის განვითარებისათვის და განხორციელებისათიის საჭირო არის ფართო რეფორმაო, ე. ი. კანონით დაწესებული ცხოვრების ახალი ნორმებიო!—რეფორმა! კანონი! განა ამ სამი წლის გამოცდილების შემდეგაც არ გამოირკვა ის აზრი, რომ კანონი მხოლოდ იმას აკანონებს; რის წაგდებას და დაპყრობას ხალხს თავის ძალ-ღონით შესწევს. თუ ეს ძალა არ არის, კანონი ყინულზე დაწერილი თამასუქია, ხოლო თუ ეს ძალა არსებობს, იგი თავის არსებობისათვის კანონიერ გარანტიას არ საჭიროებს. ეგ ძალაა საუკეთესო გარანტია ეგრედ წოდებული „პოლიტიკურთავისუფლებათა“ ცხოვრებაში გატარებისათვის. მაშ თავებს რაზედ ვიმტვრევთ ენერგიას რაზედ ვაქარწყლებთ, გაცრუებულნი იმედებს რაზედ ვიკლავთ და ვიმალავთ გულში?!.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია შემოზღუდულია ჯადოსნურ ეჭვებით და კითხვებით. ბურუსით არის მოცული, სხსნის თუ არა იგი თავს „დატყვევებისაგან“ და შესძლებს თუ არა ემსახუროს მშრომელ ხალხს მწარმოებელთა ორგანიზაციების ფარგალში!..

5 აპრილს 1907 წ. ბათუმი.

# ორი შეხვედრა არჩილთან.

ამ რვა წლის წინათ, ის იყო დამარცხებული ზამთარი ნელ-ნელა მიდიოდა და გაზაფხულის მზის სხივებს ყოველ დღიურათ, ახალაახალი ძალით მოქონდა სითბო და სიცოცხლე ჩვენი ქვეყნის მშვენიერ ბუნებისათვის.

ციხე-ციმბირით დაღლილმა ჩემმა სულმაც იგრძნო მოახლოვება გაზაფხულის და აღარ შეიქმნა საკმარისი. რაც იმ დროს ქონდა დასახული თბილისში მუშათა თვითგანვითარების პატარა წრეს.

წრის ერთი ნაწილი მალე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკმარისი არა მარტო ეროვნული აზრის სამართლიანობა ვიცნოთ, არამედ საჭიროა მისთვის თავდადებული ბრძოლა.

აი ამ დროს წამოიჭრა საკითხი ვისთვის მიგვემართა და რა პოლიტიკური გზა გვინდა დაგვეჭირა.

ამხანაგები მოითხოვდენ, მიგვემართა **ვანო გომართლისათვის და პარმე ჭიჭინაძესთვის.**

რათა მათთან ერთათ, გამოგვემუშავებია ჩვენი მოქმედების გეგმა. სისრულეში მოყვანა ამ საქმის დამავალეს მე.

მე პირველათ ვანო გომართელს მივმართე ვანომ სხვადასხვა მიზეზით ვერ გაიზიარა ჩვენი აზრი, მაგრამ გაგვამხნევა და გამოთქვა თავის შეხედულება ეროვნულ აზრის საბოლოოთ გამარტებაში.

პარმენ ჭიჭინაძის აზრი ვიცოდით ქუთაისიდან ეროვნულ საკითხზე და ამიტომ თამამათ შევაღეთ მისი კარები.

ვიბაასეთ სხვადასხვა კითხვებზე და თანხმობის მაგიერ უკმაყოფილოთ გავშორდით ერთმანეთს.

ამხანაგებს გავაცანი ყოველივე და გადაჭრით ვთხარი, რომ ჩვენი გზა სოციალიზმ-ფედერალიზმისკენ მიდის-თქო. თუ ჩვენ მიგვასნია ეროვნული აზრის სამართლიანობა უნდა შევუკავშირდეთ მის მატარებელ პარტიას.

„კი, აზრი იდეია კარგია, მაგრამ პარტია ხომ ვიცით, რაც არის. იქ ჩვენ გავიყინებით და დავიხოცებით რევოლიუციუნურათ და სოციალისტურათ. ვ. ბ. შ. დ. და იოს. მ. ძე“.

ჩემი პასუხი იყო მაშინ მართალია მივიდეთ და გადავატრიალოთ იდეიის თანახმათ პარტია. ბოლოს მათის თანხმობით გადაწყდა პირდაპირ **არჩილ ჯორჯაძეს** მოველაპარაკებოდით.

ჩვენ იმ დროს **არჩილი** გაგვეგონა, მისი აზრები მოგვწონდი. მაგრამ **არჩილს** თვითონ არ ვიცხობდით და არც გვენახა.

რედაქციაში ვიკითხეთ, და ბინა მისი მიგვასწავლეს „მატინოვის ქუჩაზედ“.

გვეძნელებოდა სახლში მისვლა რადგან მუშები საზოაადოთ არავართ ჩვეული დიდ ოჯახში სტუმრობას, ჩვენ კი წარმოგვედგინა **არჩილი** დიდი ოჯახის გამგეთ.

სიძნელე დავსძალეთ და ერთ კვირა დილით, იმ დროს როდესაც ქალაქის ზარების ხმაურობა იტაცებდა მართალ მორწმუნე მოხუცებს და ნორჩს ახალ გაზდობის სულ სხვა ქვეყნისკენ. ჩვენ კი იმვეჩქარებოდით მრავალ ფიქრებით უცნობ არჩილთან ჩვენი აზრთა გასასიარებლათ. დავრეკეთ ზარი გაიღო კარები და ჩვენი წარმოდგენა პირველ კარებიდანვე იწყო ცვილება.

მისვლის მიზეზი გვკითხა უცხო ენით სხვა ტომის ქალმა.

არ ვიცი, რათა მაგრამ ჩვენ საკვირველებათ მივიღეთ **არჩილს** რათ ყავდა ოჯახის მოსამსახურეთ უცხო ტომის ქალი.

როცა ჩვენი მისვლის მიზეზი გაიგო გაგვიძღვა წინ და ავედით მეორე სართულში, ჩვენ ცოტა შევჩერდით, ის გამობრუნდა არჩილის ოთახიდან და გვითხრა მოპრძანდითო. შევედით პატარა ოთხში, რომელიც გვიჩვენებდა პალტოებისა და ქუდების მოხსნას.

განთავისუფლდით მისგან, მაგრამ უხმათ და უნებურათ შევდექით.

რამდენიმე წუთის შემდეგ **არჩილის** ოთახის ცოტათ გაღებულ კარებიდან მოისმა ნელის ხმით მობრძანდით. ამ ხმამ ცოტათი გამოგვარკვია და შევაღეთ ოთახის კარები. არ ვიცი მკითხველო წარმოიდგენთ თუ არა იმ დროის ჩვენს განცდას. დიდი ოჯახის გამგის მაგივრათ ჩვენ ვნახეთ, საიდუმლოებით მოცული პატარა ოთახი, სადაც ლოგინზე მსხდარი ძლიერ შთაბეჭდილების სახეს არ ემორჩილებოდა დანარჩენი სხვა სხეულები.

**ბესო ქელბაქიანი.**

(შემდეგი იქნება).

# ჩვენი მთავარი პრინციპები

**წერილი მეორე.**

ისტორიული პროცესი; კლასთა შორის ბრძოლა; პრლამენტი, სახელმწიფო.

ჩვენ აღვიარეთ ინტერნაციონალის მიერ შექმნილი დევიზი: „მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა მიერო“. რას ნიშნავს ეს დევიზი, იქნებ იგი მხოლოდ უბრალო ფრაზაა? ან რა სახით შეუძლია მუშათა კლასს მოახდინოს შრომის საბოლოო განთავისუფლება? აი კითხვები, რომლებიც მოითხოვენ ჩვენგან სათანადო პასუხსა და გარკვევას. ეს დევიზი უპირველესად ყოვლისა გარკვევით უარსა ჰყოფს კლასთა თანამშრომლობის ყოველგვარ სახეს; მხოლოდ ორგანიზაციულად დარაზმული ბურჟუაზიისა და სახელმწიფოს წინაამდეგ, შესაფერი მომზადებითა და თვითშეგნებით გამსჭვალული მუშათა კლასი ათავისუფლებს შრომას და მთელ კაცობრიობას ჰხსნის მონობის ბორკილებს.

როგორ და რა საშუალებით ანხორციელებს ამ მიზანს მშრომელი ხალხი? ამ კითხვაზე სოციალისტური პარტიები სხვა და სხვა პასუხს იძლევიან და საკუთარი რეცეპტით ლამობენ კლასთა შორის უფსკრულის ამოვსებას. აქ საჭიროა ვიცოდეთ, როგორი უნდა იყოს ჩვენი წარმოდგენა და შეხედულება ეგრედ წოდებულ ისტორიულ პროცესზე.

რომელიმე მართლმორწმუნე სოც.-დემოკრატს რომ შეეკითხოთ, იგი გიპასუხებთ: წვრილი წარმოება, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში სავსებით მოისპობა და მთელი წარმოება რამდენიმე პირის ხელში მოიყრის თავს. ასეთი კონცენტრაცია თანდათან განვითარდება და წარმოებაც „კაპიტალის მაგნატების“ სულ მცირერიცხოვან ჯგუფის განკარგულებაში იქნება. შემდეგში საწარმოო ძალები განვითარების ისეთ საფეხურს მიაღწევენ, რომ ამ მაგნატებს წარმოების მოწესრიგება აღარ შეეძლებათ, ამას ზედ დაერთვის დიდი კრიზისები და კაცობრიობის წინაშე გადაიშლება საშინელი სურათი ქაოსისა და სილატაკისა, მაშინ აუცილებელი შეიქნება საკუთრების ფორმის შეცვლა, ვინაიდან იგი უდიდესად განვითარებულ საწარმოო ძალთათვის უკვე ვიწრო იქნება. „კაპიტალის მონოპოლია ხელის შემშლელი გახდება წარმოების იმ საშუალებისა, რომელიც განვითარდა მასთან ერთად და მის ზედგავლენით. საწარმოო საშუალებათა შეგროვება და შრომის განსაზოგადოება მიაღწევს ისეთ საფეხურს, რომ მათ აღარ შეუძლიათ აიტანონ თავისი კაპიტალისტური გარსი. იგი ირღვევა. სდგება უკანასკნელი ჟამი კაპიტალისტური საკუთრებისა. ექსპროპრიატორებს ექსპროპრიაციას მოუხდენენო“ ამბობს კ. მარქსი*). ამ თვალსაზრისით, სოციალიზმი ნაყოფია არა ადამიანთა ბრძოლისა, არამედ საკუთრების ფორმასა და საწარმოო ძალთა შორის გარდუვალი წინააღმდეგობისა. ერთი სიტყვით, მარქსის აზრით სოციალური რევოლიუცია ტეხნიკის განვითარების უკანასკნელი პუნქტია.

*) იხ. „კაპიტალი“ ტ. 1 გვ. 673.

ნუ დაგვავიწყდება, რომ მარქსმა თვისი „დიალექტიური მეთოდი“, თვისივე აღსარებით, ფილოსოფოსს ჰეგელისაგან ისესხა. ხოლო ნაცვლად ჰეგელის აბსოლიუტური იდეისა მან მიიღო არა ნაკლებ განყენებული ხასიათის ცნება ტეხნიკისა. ჰეგელი ამბობდა: ისტორია ადამიანის ნებისყოფისაგან დამოკიდებული პროცესია იდეის განვითარებისა, თვით ეს პროცესი სხვა არა არის, თუ არა ამ იდეის დროის მიხედვით გამოაშკარავებაო. ამიტომ იგი აღიარებდა: ყოველივე არსებული გონივრულიაო. მარქსიც გვარწმუნებს: ისტორია ადამიანის ნებისაგან დამოკიდებული პროცესია ტეხნიკის განვითარებისაო. ამგვარად გაადაყირავა კარლ მარქსმა ჰეგელის დიალექტიკა, რომლის ძლიერ გავლენას იგი ყმაწვილობაშივე განიცდიდა.

კარლ მარქსისა და ენგელის მიერ გამოცემულ კომუნისტური მანიფესტის დასაწყისში ნათქვამია: „ისტორია ყველა დღემდის არსებულ საზოგადოებათა არის ისტორია კლასთა შორის ბრძოლისა“... მარქსის აზრით: „არა ცნებები განსაზღვრავენ ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებას, არამედ პირიქით მათი საზოგადოებრივი ცხოვრება მათ ცნებებს... უფლებრივი დამოკიდებულება, აგრედვე სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფორმები არ შეიძლება იქნას განმარტებული არც თვით მათ მიერ, არც ადამიანის სულის ეგრედ წოდებულ საერთო განვითარებით, არამედ იგინი ჩთანერგილი არიან ცხოვრების ნივთიერ პირობებში, რომელნიც ჰეგელმა მე 18-ე საუკუნის ინგლისელებისა და ფრანგების წაბაძვით, საერთოდ სამოქალაქო საზოგადოების სახელით აღნიშნა; ანატომია სამოქალაქო საზოგადოების კი მის ეკონომიაში უნდა მოიძებნოს... ეკონომიური საფუძველის შეცვლასთან ერთად იცვლება მასზე ამაღლებული უდიდესი ზედნაშენი. არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ ჰქრება მანამდის, სანამ არ განვითარდება ყველა საწარმოო ძალა, რომელთაც იგი ანიჭებს საკმაო სივრცესო“... ნათქვამიდან ნათლად გამომდინარეობს შემდეგი სამი უმთავრესი დებულება: ა) ისტორია არის ეკონომიურ ნიადაგზე კლასთა შორის ბრძოლა, ბ) საზოგადოების საფუძველი არის მისი ეკონომიური სტრუქტურა, ხოლო სხვა მოვლენები: უფლება, ზნეობა, რელიგია და სხვ. ზედნაშენი; შეიცვლება საფუძველი, უნდა უეჭველად შეიცვალოს ზედნაშენიც; გ) ყოველგვარი ისტორიული ცვლილება ეკონომიური თვისების მიზეზისაგან წარმოობს; „ძირითადი მიზეზები სოციალურ ცვლილებათა და პოლიტიკურ გადატრიალებათა არა ადამიანთა თავებში უნდა ვეძიოთ, არა მათ მიერ მარადიული ჭეშმარიტებისა და სიმართლის ცოტად თუ ბევრად შეგნებაში, არამედ წარმოების და გაცვლის საშუალებათა შეცვლაში, სხვანაირად რომ ვსთქვათ, არა განსაზღვრულ ეპოქის ფილოსოფიაში, არამედ მის ეკონომიაში“ (ენგელსი).

ამ თვალთაზრისზე რომ დავდგეთ, უნდა კატეგორიულად აღვიაროთ შემდეგი: კაპიტალიზმის ეკონომიური რღვევა აუცილებელია ეკონომიური ფაქტორის—საწარმოო ძალთა მექანიკური განვითარების გამო. აქ ადამიანის ცდა, ნებისყოფა უძლურია რაიმე ცვლილება მოახდინოს, მან ხელი უნდა შეუწყოს, ასე ვსთქვათ, ერთგვარი ბებიობა უნდა გაუწიოს ცხოვრების მექანიკურ, უფრო ფატალისტურ მსვლელობას, რომ კაპიტალიზმის წიაღში წარმოშობილმა წინააღმდეგობამ ხასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს თვით კაპიტალისტურ წარმოებას. ისტორია ადამიანთა ძველი საზოგადოებისა, აგრეთვე თანამედროვე საზოგადოებათა და კლასთაშორის ბრძოლისა, რასაკვირველია, ამ დებულებას არ ამართლებს. ეს იგრძნო ბევრმა მარქსისტმა და თავისებური ცვლილება შეიტანა მასში. ცნობილი გერმანელი მართლმორწმუნე სოციალდემოკრატი კ. კაუცკი 1906 წელს სწერდა *): „ეს თეორია კაპიტალისტურ წარმოებაში ხედავს ფაქტორს, რომელიც პროლეტარებს ამოძრავებს კლასთაშორის ბრძოლისთვის კაპიტალისტების წინააღმდეგ; იგი თანდათან ამაღლებს მის ეკონომიურ მნიშვნელობას, ჰქმნის აუცილებლად, როგორც მის პოლიტიკურ პარტიად დარაზმვას, ისე მის გამარჯვებას; მაგრამ არა ნაკლების აუცილებლობით იწვევს იგი ამ გამარჯვების შედეგად კოლექტივისტური წარმოების წარმოშობასაო“. ცხადია, ამ შემთხვევაში კაუცკი არ ლაპარაკობს მარტო ეკონომიურ სფეროში გადატრიალებაზე. ცხადია ისიც, რომ იგი სოციალურ რევოლიუციის გამარჯვებას უკავშირებს დარაზმულ და გათვითცნობიერებულ პროლეტარიატის კაპიტალისტებზე გამარჯვებას, ან როგორც რევიზიონისტი ბერნშტეინი იტყოდა: „პროლეტარიატის მომწიფულება არის უკვე არა ეკონომიური, არამედ ეთიური ფაქტორი; მათი ძალა—არის ფაქტორი პოლიტიკური, თუ სოციალურ-პოლიტიკური“. მარქსისტულ სკოლაში აღზრდილი, ზოგიერთი თეორეტიკოსი სინდიკალიზმისა ამ მხრივ უფრო შორს მიდის. **სორელი** თვის „მარქსიზმის კრიტიკა“-ში ამბობს: „დასკვნები სოციოლოგიისა და მათი გამომხატველი დიალექტიური სქემები იქმნებიან გარკვეული მიზნისათვის; ჩვენ მათ ვსთვლით სუბიექტურად, რადგან ისინი დამოკიდებული არიან იმ მიმართულებისაგან, რომელსაც ჩვენ აზროვნებას ვაძლევთ. რომ ავიცდინოთ გაურკვევლობა და მათ შეუნახოთ ჭეშმარიტად მეცნიერი ხასიათი, აუცილებელია, მხედველობაში გვქონდეს მიზნები, რომელთა სახელით ჩვენ მათ ვქმნით. **მოქმედების ფილოსოფიამ** (ხაზი ჩვენია) უნდა გაანათოს სოციოლოგიის გზა*). ერთი სიტყვით, სორელს სურს ობიექტიური თვალთაზრისი სოციოლოგიაში შეავსოს მოქმედებითი, მიზნითი, აქტიურ-დინამიური. ნებისყოფითი თვალთაზრისით. **არტურ ლაბრიოლა** ეკონომიურ მატერიალიზმში, როგორც ყოველგვარ დიალექტიკაში, რევოლიუციურ მხარესთან ერთად ხედავს კონსერვატიულსაც, რომლის ცალმხრივ ხაზგასმას, მისი აზრით, შეუძლია დაქანებულ სივრცისაკენ გაგვიტაცოს: „ყველაზე უფრო საშიში მხარე სოციალიზმის მომავლისათვის ამ ტენდენციაში არის ის, რომ იბადება რწმენა ავტომატიზმისა და სოციალური პროგრესის ფატალობაში.. უბრალო ენით რომ ვსთქვათ, აქ უარყოფილია ყოველგვარი წინასწარგანზრახული და შეგნებული ზედგავლენა საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე... ისტორია—ეს მუდმივი პროცესია, რომლის უშუამავლოდ „პრუჟინაა“ ადამიანთა ნება და გრძნობა... ადამიანი არის ფაქტორი საკუთარი ისტორიისა და შემომქმედი თვისი ბედისა. ამ დებულებებს ივიწყებენ ის „სოციალისტები“, რომლებიც თვის სულიერ სიღატაკეს ასაღებენ იმ წმინდა წყლის ისტორიულ მატერიალიზმად, უკანასკნელ ხანებში ყველაზე მეტად მაღდიანი და ნაყოფიერი ნიადაგად რომ გადაიქცა თეორეტიულ შეუსაბამობათა და პრაქტიკული ოპორტიუნიზმისათვის**). წარმოიდგინეთ ისეთი აღმზნენიც კი, როგორიც არის **ლეონე**, რომელიც ყველაზე მეტად ცდილობდა მარქსიზმის „მატერიალისტური სულის“ პირველყოფილი უმანკოების აღდგენას, ისიც კი შემდეგს ამბობს: „ისტორიული მატერიალიზმი, დამახინჯებული ... და პოლიტიკური მიზნებისათვის, თავისთავად არ უარჰყოფს,—როგორც ამას სორელი ამტკიცებს,—არც ადამიანის ნებისყოფას, არც შემთხვევითი გარემოებათა კონიუნქტურას საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესის განმარტების დროს... მაშასადამე, ისტორიული მატერიალიზმი არ ეწინააღმდეგება სოციალიზმის ვოლუნტარულ ხასიათს... სუბიექტი სოციალიზმისა—ახალი საზოგადოების შემომქმედი—არის მებრძოლი პროლეტარიატი; სოციალიზმი არ არის უბრალო შედეგი სოციალური ცხოვრების გარეგნული განვითარებისა და წმინდა—სამრეწველო წარმოების გაძლიერებისა, არამედ კლასობრივი მოქმედების შედეგი.*) თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მიერ აღნიშნული აოსაზრებანი სორელისა, ლაბრიოლასი და ლეონესი არსებითად დიდ ცვლილებას იწვევენ ეგრედ-წოდებულ ეკონომიური მატერიალიზმის შემეცნებაში **).

*) იხ. Нѣтъ больше соціал демократіи გვ. 17

*) იხ. ვიქტორ ჩერნოვის: „Теоретики романскаго синдикализма“ გვ. 24 და შემდეგ.

**) ibi dem გვ. 25.

თუ უწინ გვეუბნებოდენ: ისტორიული პროცესის გამომწვევი არის მხოლოდ ეკონომიური ფაქტორი, რომ ეს პროცესი სხვა არ არის რა, თუ არა მექანისტური გამოხატულება საწარმოო ძალთა განვითარებისა და ადამიანის შემეცნება, ნებისყოფა, მისწრაფება გამოკრთომაა მხოლოდ ეკონომიური პროგრესისა, დღეს ბევრი მარქსის აღმსარებელიც კი გვარწმუნებს: ახალი საზოგადოების შემოქმედი არის მებრძოლი პროლეტარიატი, რომ ადამიანი ყოფილა ფაქტორი ისტორიისა, რომ ვოლიუნტარისტულმა თვალთაზრისმა უნდა შეავსოს ობიექტიური მსოფლმხედველობა. თვით ის კრიზისებიც, რომელთა რაღაც მისტიური მნიშვნელობა შეითვისეს მარქსისტებმა და რომლის „ყოვლად შემძლეობას“ ეგრე რიგად აფართოებდენ, დღეს სულ სხვა შინაარსით გვევლინება. როდესაც მარქსი იმუშავებდა თავის თეორიას კრიზისებისა, კონცენტრაციისა და პროლეტარიზაციის შესახებ, ამ დროს ინგლისში დიდის სიჩქარით ვითარდებოდა კაპიტალიზმი, რომელსაც თან სდევდა გამაღლებული პროლეტარიზაცია და კონცენტრაცია. მარქსმა ეს მოვლენა ზოგადად აღიარა და იგი, უკიდურესობამდე ყველა ქვეყნისათვის აუცილებლად სცნო. მაგრამ ეს თეორია ცხოვრებამ არც ისე სავსებით გაამართლა, როგორც ეს მის მამამთავართ ეგონათ.

ჩვენ მიერ უკვე ხსენებული კაუცკი ერფურტის პროგრამის კომენტარიებში თუ გადაჭრით ამბობდა: „ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიური განვითარება ბუნების კანის აუცილებლობით იწვევს წვრილი წარმოების დარღვევასო“. სულ მოკლე ხანში იგი იძულებული გახდა თვალსაჩინო შესწორება შეეტანა ამ თავის განცხადებაში. 1905 წელს „კომენტარიების“ წინასიტყვაობაში კაუცკი უკვე შემდეგს სწერდა:

„იმაზე უფრო შემცდარი აზრი არ არის, თითქოს კოლექტივისტური წარმოება შეიძლება მხოლოდ მაშინ გახდეს შესაძლებელი, როდესაც სავსებით მოისპობა წვრილი მრეწველობა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ კოლექტივიზმი ვერ განხორციელდება, რადგან კაპიტალის კონცენტრაცია იწვევს წვრილ წარმოებათა არა სრულ მოსპობას, არამედ ხშირად წვრილი მრეწველობის ძველი ფორმის ახალი სახით შეცვლას. მოსპობა ამ ახალ პროლეტარულ წვრილ წარმოებათა შესაძლიბელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კოლექტიური წარმოება დაფუძნდებაო. *)

(შემდეგი იქნება)

**ანაბაპტისტი.**

*) ხაზი ჩვენია ibid, გვ. 26.

**) თუ სადამდის მიდიან ეკონომიური მატერიალიზმის თეორეტიკოსნი, სჩანს მაგალითად მერინგის შემდეგი სიტყვებიდან „ისტორიული იდეალიზმი არის ისტორიული მსოფლმხედველობა ბურჟუაზიისა, მაშინ როდესაც ისტორიული მატერიალიზმი ისტორიული მსოფლმხედველობაა მუშათა კლასისაო“ (sic!). ამ მწერალს ავიწყდება, რომ ბევრი ბურჟუაზიული მწერელი თვის გამოკვლევებს სწორედ ეკონომიური მატერიალიზმით ასაბუთებს და პირიქით ბევრი მედგარი დამცველი მუშათა კლასისა ისტორიულ იდეალიზმს ემსახურება. ესეც რომ არ იყოს, მერინგის მსჯელობიდან გამოდის რომ მუშათა კლასი უეჭველად ეკონომიურ მატერიალიზმს უნდა აღიარებდეს! იხ. მერინგის: „Объ экономическомъ матеріализмѣ“.

ვერ ეღირსება ამ დიად საქმეს, რაც ეხლა დაკანონდება სამუდამოთ თუ არა, ხანგრძლივათ მაინც დარჩებოდა მიკვირს, რომ ასეთი იშვიათ მოვლენის დროს, როგორიც იყო დამფუძნებელი კრების არჩევნები, სამხედრო პირნი ყოველივე უფლებას მოკლებულნი იყვნენ და არიან. ან შეიძლება გვპირდებიან, ფარაჯის გაძრობას შემდეგ ხელ მეორეთ ჩვენთვის მოიწვევენ დამფუძნებელ კრებას!?! თუ არა და რასგვემართლებიან?!! ეს მეტად შეურიგებელი ნაბიჯია და გამოუსყიდელ ცოდვას სჩადის მშრომელი ხალხის წინაშე, ვინც ამას მიემხრო რაც კანონები ეხლა დაფუძნდება იგი ყველასთვის სავალდებულო იქნება— განურჩევლათ წოდებისა და რატომ ჯ-კაცნიც ერთხელ და სამუდამოთ არ უნდა აღემაღლოთ ხმა და თავისი ბედი მიენდო იმისთვის ვინც მას სურს?!—შეიძლება ჰგონიათ: რომ სამხედრო პირნი დროებით ვართ მოვლენილნი ამ ქვეყნათ და დღეს და ხვალ აღარ ვიქნებით, მარა ასეთ რკინის კანონს ყველავე მორჩილებით, ვინც არ უნდა იყოს იგი:

უნდა მოვაგონო იმ ზოგიერთ გულუბრყვილო წარმომადგენლებს, რომლებიც ყოველივე ძალას ხმარობენ რკინის მუხრუჭით შეზღუდონ ჯ-კაცის თავისუფლება. რომ უდიდესი ღვაწლი ამ რევოლიუციის ქარცეცხლის ხანაში მიუძღვის ჯარს. მე კიდო მეტს ვიტყოდი:—იმ საბედისწერო დროში, რომლის წინაშე წამოჩოქილი იდგეს მთელი საქართველოს დემოკრატია და ჩვენი ახალი დამოუკიდებლობა, თუ არა იმ ჯარს და იმ ლომგმირ წინამძღოლებს, რომლებმაც იგი დასვეს სამშობლოს სამსხვერპლოზე, ჩვენ და ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა სამუდამოთ დასამარდებოდა და აი, მართლაც და მშრომელი დემოკრატიის საბედისწერო ჟამს ამ დამფუძნებელ კრებაში, უნდა მიეღო თუ არა მონაწილეობა ჯ-კაცებს, რომლებიკ იგივე მაშვრალი ხალხია?!! მე მგონია პასუხი ერთი უნდა იყოს. —თუ არა და რატომ?!!

ეს დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს მშრომელი ხალხის ბედს და სამართლიანი იქნებოდა იმ მუშასაც ამოეღო ხმა და თავისი ეთქვა, რომელიც დროებით ჯ-კაცის ფარაჯაშია გახვეული, იგი თქვენი დარაჯია და თუ ღალატი შეგატყოთ, ულმობელია და საშიში. მაგრამ—„გვიანღა იქმნება ბოლოს თითზედა კბენან".“ შეიძლება ეშინოდეთ ზოგიერთ პარტიებს“ ჯარი რომ საარჩევნო უფლებით გამოსულიყო ვაი თუ ბოლშევიკებისთვის მიეცათ ხმა და ამით დაგვასამარებდენო. მაგრამ რას უფრახოდენ უტიფარნი მოწინავენი, როდეს ც ბოლშ ვიკ ბის | ის ნომ ერი არ იყო გამოფენილი საარჩევნო ასპარეზზე?!! ან შეიძლება იფიქრეს, ჯარი პარტიულ იარაღათ არავინ გამოიყენოს და სასწორი მარცხნივ არ გადახაროსო შეიძლება ასეც მომხდარიყო, რადგან მშრომელი ხალხი გრძნობს ვინ რა გააკეთა და დღეს მაინც მართვა გამგეობის მესაჭეობა მიენდო იმისთვის, ვინც უფრო იცავს ნამდვილ დემოკრატიის ინტერესს. ახსოვთ დიდი რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნების წვენი, სხვაგან არ ვიტყვი თბილისში როგორი დამცირება გამოიარა იმ პარტიამ, რომელიც „სხვის თვალში ბეწვს ამჩნევდა და თავის თვალში კი დირესაც ვერ ხედავდა“ ახსოვთ ის წუთები, როდესაც ჯარის არჩევნებში ჩარევამ კიდამე დამარცხებამდე მიიყვანა, რომლის მოწამენი ჩვენ ვიყავით, დღეს სამინისტროში და კიდევ მეტი დამფუძნებელ კრებაში მოკალათებულნი მემარჯვენე პარტიები.

ასეთი წამებას განცდილნი დღეს აცხადებენ რომ კიდევ არ მოხდეს და არ განმეორდეს ის, რასაც ადგილი ჰქონდა წინეთ, წავართვათ სამხედრო პირთ საარჩევნო უფლებაო. და ასეც მოხდა, ალბათ ეშინოდათ „ვაი თუ უმრავლესობა არ გაჰყოლოდა მათ ორჭოფულ და კოლიციონურ პოლიტიკას და ამათი ნიადაგი გამოგვაცალისო“ სხვათაშორის ყველა დამეთანხმება, რომ მათ უნდა დაამტკიცონ პარტიული ქინიანობა, გამოაცხადონ პარტიული დიქტატურა და დესპოტიური პოლიტიკით ყველა დაიმონონ, რაც უკვე განხორციელეს და ანხორციელებენ კიდეც. მაგრამ მოვა დრო დემოკრატია მათ პასუხს მოსთხოვთ და საშინელ სამჯავროს წინაშე დააჩოქებს. ისედაც ორგანიზაციებით მოფენილი აქვთ ყოველი კუთხე საქართველოსი, შესძლებდენ, რომ ფართოთ მასას მათთვის გაეთეთრებია კენჭი და ჯარის ხმას ბევრათ აღარ სიჰიროებენ.

ეს ასეც მოხდა. მე უნდა გავახსენო ჩვენს მეგობრებს, რომ ასეთი დაბეჩავება და დაჩლუნგება ჩვენ ზიან მოგვიტანს და არ გვარგია.

თავისუფლება ჰქმნის შემოქმედებას და პირველს შემთხვევაში ზღუდავს მეორეს. მგონი დრო არის ყოველმა ჩვენთანაგანმა აღიმაღლოს მედგარი მქუხარე ხმა და შევძახოთ: „ჩვენც გვინდა თავისუფლება, ჩვენც გვწყურია შემოქმედება, ჩვენც ვართ ადამიანები, გვსურდა ჩვენც მიგვეღო მონაწილეობა ჩვენი ბედის გადაჭრაში და როგორც თავისუფალნი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ თავისუფალ, ნორჩ ნამდვილ დემოკრატიულ საქართველოს დი მტლათ დავედებით.

ჯ.-კ. (ბიკენტი) დაჩაგრული

---

# წერილი ხონიდან.

### საბრალო დემაგოგია.

„მაშვრალთა“ ხონის ორგანიზაციის დაარსებამ ადგილობრივ ს. ფ. მოსწავლე ახალგაზრდობაში „დიდი მუშაობა“ გამოიწვია, რომელიც სავსებით გამოიხატება ბრძოლის ისეთ საშუალებაში,— რომელსაც დემაგოგია ეწოდება.

რომელი ს. ფ. მოწაფე გინდათ. რომ ამ უკანასკნელ საშუალებას არ მიმართავდეს, ხოლო ამ მხრივ გ. ხოფერიამ ხომ მოლოდინს გადააჭარბა. თუ ზოგიერთი ფედერალისტი მარიამის სასწავლებლის მეორე კლასის მოწაფეებს ეუბნება: „მაშვრალებში“ ნუ გადახვალთ, რადგან მათ სურთ „ანარხია“ მოახდინონო“, ხოფერია ჩვენს ამხნნაგ სემინარიელებს ეუბნება: „თქვენი პარტია რომ დაიშლება სხვა პარტიაში არ გადახვიდეთ, ისევ ჩვენთან მოდითო“.

პირველ ჯერის ფედერალისტებს უნდა მოვახსენო: ჩვევ ისე არ დავიმცირებთ თავს, რომ მეორე კლასის მოწაფეებში დავიწყოთ წევრების ძებნა, რადგან სხვა რომ არა იყოს რა, მათ გონებრივი განვითარება არ უწყობს ხელს პარტიებში გაერიონ. რაც შეეხება ხოფერიას დემაგოგიას, თითქოს ახლო მომავალში „მაშვრალთა“ პარტია დაიშლება, ეს ხომ წმინდა წყლის „მარჩიელობაა“. ხოლო თუ პარტიების დაშლაზე მიდგა ჯერი, მგონია, აქ პირველობას ფედერალისტების პარტია გამოიჩენს.

რატომ? იმიტომ რომ ამ პარტიის შემადგენლობის ნაწილებთა შორის „ხიდი ა გატეხილი“, რომლის გამთელებას, ბევრიც რომ ეცადონ, ვერ შესძლებენ.

ამიტომ, ბ-ნო ხოფერია, უკეთესი იქნება ჩვენზე მარჩიელობას თავი დაანებოთ და თუ ამ ხელობას არ დაიშლით, ერთი ფ. პ. „უკითხეთ“, თუ რამდენი წევრი დაურჩება 18 წლის პარტიას მის მეტამართოზის შემდეგ. აი ეს არის საინტერესო და აქ შეგაძლიათ გამჭირიახობაც გამოიჩინოთ.

ამას რომ თავი დავანებოთ, თუ თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ „მაშვრალთა“ პარტიის დაშლა (!) ახლო მომავლის საქმე იყო რატომ თებერვლის შუა რიცხვებში ამხ. ფანცხავას მიერ ხელმოწერილი მანდატი შეიძინეთ? გახსოვთ, ამ ოცი დღის წინედ რომ მითხარით „ეს მანდატი იმიტომ ავიღე, რომ სოფლებში ორგანიზაციები შევკრაო“? მაგრამ, საინტერესოა აქ თქვენი ულოღიკობა: ალბათ სოფლელებს ასე ეტყოდით: „მაშვრალთა“ პარტია მალე დაიშლება, მაგრამ მათი ორგანიზაცია მაინც დავაარსოთო“. გარდა ამისა: „თუ ორგანიზაციაში (ხონის მოწ.) განხეთქილება ასდა, მე „ნახალხოსნებთან“ არ დავრჩებიო“ ეს ხომ თქვენი სიტყვებია?

ან შეიძლება იმიტომ დარჩით ისევ ძველ პარტიაში. რომ „ახალსა და ძველში“ წამოყენებულ არც ერთ ბრალდებას არ იზიარებთ? მაგრამ არც ესა მიზეზი, რადგან ჩვენი შეხედულება „ძველსა და ახალზე“ როგორც ეს თნვად განაცხადეთ, მანდატის ეღებამდი იცოდით. იხის შემდეგ, რაც თქვენი სურვილი, ადგილობრივ „ჟორჟაძისტების“ ორგანიზაციის დაარსების, სურვილად დარჩა, თქვენ არც ერთ ორგანიზაციის კრებაზე არ დადიოდით.

ხოლო რამოდენიმე დღის შემდეგ, როცა თქვენი უეიკობის უნივერსიტეტი უსტუდენტებოდ დარჩა, „ჟორჟაძისტების“ ორგანიზაცია ვერ დაარსეთ და ასეთ ორგანიზაციის დაარსების მსურველად მარტო ერთი პიროვნება აღმოჩნდით, უხერხულ მდგომარეობიდან ტენმ დენციამ გიხსნათ და თავი ამოგაყოფიად ისევ ძველ პარტიაში.

მკითხველმა რომ უკეთ გაიგოს ხოფერიას მიერ ს. ფ. პარტიის ფეტიშად დასახვა მათ ყურადღებას უკანასკნელად ერთ გარემოებას მივაქცევ. „ნაკადის“ რედაქციაში ჩემ შესახებ—მეუბნებოდა ხოფერია—თუ ხათრი გაქვს წერილს ნუ გაგზავნი, რადგან შემდეგში რედაქცია ჩემზე ცუდ შეხედულების იქნება და ამის გამო შეძლება არ მექნება შიგ ვითანამშრომლო. კონფერენციამდე არც თქვენთან ვიქნები და არც მათთანო“ (მემარჯვენეებთან). მიუხედავად ამისა პარტიის ფეტიშად დასახვამ წაგიყვანათ; ხოფერიავ, თქვენი სურვილების წინაამდეგ, რასაც ნათელი ეფინება თქვენივე მოქმედებით.

ირაკლი ჩიტაია.

---

# პროვინცია

**სოფ. საჭილაო.** ეს სოფელი განათლებით არ ჩამორჩება სხვა მის მეზობელ სოფლებს. აქ უკვე არსებობს კოოპერატივი, სამკუთხველო და სასწავლებელი. ადგილობრივი მცხოვრები შეგნებულად უყურებს ამ დაწესებულებებს და შეიძლება ითქვას, რომ სულ ცოტა ხნის განმავლობაში, უკეთეს ნიადაგზე დადგეს ამ დაწესებულებების აღორძინების საქმე. სამკითხველო, მიუხედავათ ძველი გამგეობის გულ-გრილად მუშაობისა, გამოღვიძების გზას დაადგა და მომავლისთვის შეძლებს შეძენას, მხოლოდ ჯერ-ჯერობით მას აქვს შემდეგი გაზეთები: „ახალი ნაკადი“, „ხახალხო საქმე“, „ერთობა“, „საქართველო“ და სხვა. ხალხი შეძლების დაგვარად ხელს უწყობს ამ დაწესებულებებს მოგვარებას.

კოოპერატივის არსებობა ნაყოფიერია: აკმაყოფილებს ხალხის პირველ მოთხოვნილებებს,—მაგრამ იგივე არ ითქმის სასწავლებელზე. მას ხალხი გულ ცივად ეკიდება:—თავიანთ ბავშვებს სასწავლებლად გზავნიან ქ. სამტრედიაში,, რომელიც სოფელზე დაშორებულია 3-4 ვერსზე. სასურველია ამ სასწავლებელის მშობელთა წრემ ისაშუალოს რაიმე და ამ სოფლის შვილთ, რომლისთვისაც უფრო ახლო არის ეს სასწავლებელი ქალაქის სასწავლებელზე—პირველ დაწყებითი სწავლა მიიაღებიოს აქვე—ამ სასწავლებელში და მით მომავალში იხსნას ის დახურვისაგან. ასე საქმის მოგვარება უფრო მეტი ნაყოფიერი ექნება, რადგან 7—8 წლის ბავშვს გაუადვილებს სწავლას, ნამეტურ ზამთრობით—ცუდ ამინდებში და მშობლებსაც საშუალება ეძლევა თავიანთ ბავშვებს თვალყური ადევნონ.

ამ სოფელში აგრეთვე დაარსდა მიწის მომუშავეთა პროფესიანულ კავშირი, რომელსაც, იმედია, ფხიზლად შეხვდებიან აქაური მცხოვრებლები და მით ცოტათი მაინც შეამსუბუქებენ თვის ეკონომიურ მხარის გაუმჯობესებას.

შალიკო ჭილაძე.

---

**სოფ. წალენჯიხა.** ერთ დროს პატიოსანი შრომით გალამაზებული სოფელი დღეს უმაცადინოება და უმუშევარ ხალხის წყალობით თითქმის განადგურდა, დაკარგა წინანდელი შეხედულება. არც ერთი დაწესებულება არ ემსახურება თავიანთ დანიშნულებას. გამეფებულია კარტის თამაში და სხვა, ასე რომ ვინც არ მუშაობს, კარგათ გრძნობს თავს და ვინც მიწას ჩაყურებს და ერთი წუთი მოსვენება არა აქვთ მშიერი და ტიტველია. ამის მიზეზი მიწის სივიწროვეს გარდა, ქურდობა ძარცვა გლეჯაა. წალენჯიხაში ქურდობა, დუქნის გატეხვა ხშირია. ამ რამდენიმე ხნის წინეთ გასტეხეს მომხმარებელი ამხანაგობა „სინათლე“ და გაიტაცეს 2,700 მან. საქონელი. მართალია ჩვეულებრივი ზომები მიიღეს, მარა ვერაფერი აღმოაჩინეს მე, როგორც ამხანაგობის მომხმარეს, მაწუხებდა ხალხის მტრების თარეში და მოთმინებიდან გამოსულმა, შევნიშნე ადგილობრივ მთავრობას. თუ მთავრობა მიინდომებს ადვილათ აღმოაჩენს დაკარგულებსა და დამნაშავეებსაცმეთქი. ეს სიტყვა იუკადრისეს და მეორე დღეს მე თითონ ამომაყოფიეს თავი ციხეში. დილიდ ნ საღამომდე დამაჯინეს და როცა გამომიშვეს, ხალხმა რომ შემხედა, მე კ ციხეში ვყოფილვარ, გაიკვირვეს და რაიონის კომისარს ჰკითხეს: ეს რათ დაგიჭერიათო. ი. კვარცხლიამ სთქვა, უთუოდ თითონ წავიდა, ის მე კარგად მიცნობდა, ვინცა ვარ, მართალია, წალენჯიხაში მოსამსახურეებში მოსე მწერლის დაწყებიდან ბევრი ძველები ურევია, მაგრამ იმათთვისაც სირცხვილია კერძო ინტერესით ადამიანი ლანძღონ. ამის გამო ყრილობას მივმართე თქვენ სიბნელეში მცხოვრებთ და არ გინდათ უთუოდ სიმართლე გამოაჩინოთ და მეკი არ მინდა თქვენ ამრიგათ გაგყვეთ მეთქი. მაშინ ჩვენი სამსახური 5 წ. და რაიონის კამისარმა თქვეს, თუ ხალხში ვცხოვრობთ მათი ქუოი უნდა დავიხუროთო. და მათი ჩვენებას თანაუგრძნოთო. აბა მითხარით ბატონებო, რით ხართ აგრე ბედნიერი, წალენჯიხის ყველა რიგი ხალხის სურვილს ხელს უწყობთ, მე კარგა მესმის, პარტიის კაცებმა გაარკვიოს კარგი და ავი. იმ ამხანაგობაში, საიდანაც საქონელი გაიტაცეს 400 წევრია, თითო ოჯახში 3 სული რომ თქვათ, 1200 მაინც იქნება. ნუ თუ ამდენ პატრონს რამე ნივთი დაეკარგოს, მაგრამ მონდომებული არიან, არ გამოაჩინონ ქურდები, მაგალითისთვიე მომყავს ხორშის საზოგადოება, სადაც რევოლიუციის შემდეგ რაც დაკარგულა, ყველა მოძებნეს და მომქმედი პირები მთავრობას გადასცეს. ასე რომ სამშიერთია წალენჯიხაში ქონიათ მეტი მაგარი ორგანიზაცია ან ხალხი და მთავრობა ერთი მეორეს ატყუებს ან არაფერი დაკარგულა. თორემ როგორ მოხერხდა ოთხას კაცმა დაიფიცოს, მკრთველობამ მოეხმაროს და ქურდი ვერ აღმოჩინონ.

ი. შ.

---

# მუშათა ცხოვრებიდან

მტერი იმდენს ვერას ავნებს, რასაც კაცი თავსა ივნებსო.

ეს თქმულება სწორედ ჩვენ მუშების მდგომარეობაზე და მოქმედებაზე არის ზედ გამოჭრილი. მუშების, რომელთაც თუ კი ვინმე თბილ-თბილი სიტყვებით გაგვიმასპინძლდება ჩვენც იმას ჩვენდა მხსნელად დავსახავთ და ხშირად არც კი უკვირდებით იმას თუ ვისგან და რა წრის ადამიანისაგან არის ეს სიტყვები წარმოთქმული, და როდესაც კი ჩვენის ნდობით აღიჭურვება იგი ჩვენს გულუბრყვილობას იარაღათ იყენებს და სასტიკ მტარვალად მოგვევლინება. ამისთანა შემთხვევა ხშირად ყოფილა მუშების ცხოვრებაში და საუბედუროდ ჩვენდა დღესაც აქვს ადგილი ამისთანა მოვლენებს. მერე სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი?! ამაში თვითონ ჩვენ მიგვიძღვის დიდი დამნაშაობა, რომ ჩვენ მუშებს ვერ გამოგვიჩენია იმისთანა საქმიანობის უნარი, რომ ჩვენ თვითონ ვიკისროთ ჩვენი ბედ-იღბლის კეთილად მოგვარება. პირიქით ვინც ხელს დაგვიქნევს მისი ვართ და შემდეგ ეს ვაჟბატონები ჩვენი სახელით ვაჭრობენ და თუ წინააღმდეგი წამოგცდა რამ. პასუხად ამას გეტყვიან აკი თქვენ ნდობა გამოგვიცხადეთ და დღეს კი ეჭვის თვალით უყურებთ ჩვენ მოქმედებასო და ასე ამგვარათ ავიწყდებათ თავიანთი დაპირებანი. მაგრამ აქ მაგონდება ერთ-ერთი მგოსნის სიტყვები: „ავადმყოფსა თანაუგრძნობს მისივე მსგავსი სნეული“-ო, და სრული ჭეშმარიტებაც არის. თუ ადამიანი მდგომარეობით არ განიცდის სხვის ბედს, იგი რაც უნდა გულწრფელი იყოს მის ტკივილებს ვერ იგრძნობს. ამისი მაგლითები მრავალი მინახავს და გამოიგონია. შორს რომ არსად წავიდეთ ავიღოთ მაგალითად ქუთ. სახ. სკ. ინსპექციის კანცელარია. იქ ერთის სიტყვით მდგომარეობა ასეთია: ეკონომიურათ ხომ ერთობ დამცირებული არიან და პოლიტიკურად კი მათში მრავითარი კავშირი არ არსებობს. იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც მოსამსახურეებმა თავიანთ შორის ამოირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი. რაც ჩემის აზრით მათ სულიერ კავშირს გამოხატავდა და კრების დადგენილება უფროსებს წარუდგინეს, იმათ კი ასე უპასუხეს: რა [illegible] ჩვენსა და [illegible] შორის ასეთი კომიტეტი, როდესაც ჩვენც თქვენი ი[illegible] გამომხატველი ვართო და თუ როგორ შეასრულეს ამ ვაჟბატონებმა თავიანთი პატიოსანი სიტყვა ამას დაინახავთ შემდეგიდან. დაითხოვეს დირექციიდან მოსამსახურე ქალი კერძო ინტერესზე აგებული ხრიკების წყალობით და იქაურ უფროსებს ერთსაც არ მოუსურვებია რომ გამოეძიათ ეს საქმე. თუ რა იყო ნამდვილი მიზეზი იმ ქალის დათხოვნისა, მიზეზათ კი ის დაასახელეს რომ თითქო შტატს ზევით ნამსახურებიყოს ის ქალი (თუ ცა შტატის ადგილი ორიჩ მეტს არ ეჭირა და სხვებს კი ყველა შტატს ზევით ითვლებოდენ) ასე დაუკარგეს ლუკმა-პური გაჭირვებულ ადამიანს. შემდეგში კი როდესაც ერთი-ერთი უფროსთაგანი უმაღლეს მთავრობაში მიიწვიეს, და მოსამსახურეებს დაიმედებულთ, იმით რომ მათი ბედი გაუმჯობესდებოდა მომავალში, ერთ მშვენიერ დღეს მოუვიდათ ცნობა რომ მოსამსახურეებს, 1918 წ. იანვრიდან ახალი შტატის მიხედვით რაც ფული აქვთ მიღებული, კვირიკობისთვიდან ყველას გამოუკლებთო, რაზედაც მოსამსახურეებმა და მით უმეტეს უფროსებმა სიჩუმით უპასუხეს და ღრმად კმაყოფილების ნიშნად განაგრძობენ მუშაობას. იყო ასეთი შემთხვევაც: როდესაც თავიანთ კრებაზე მოსამსახურეებმა დაადგინეს დღით გავაგრძელოთ მუშაობა და საღამოს ნუ ვიმუშავებთო, გამოჩნდა მათ შორის ზოგი იუდა, რომელმაც თავის მოქმედებით დაარღვია ამხანაგების დადგენილება და დაიწყო საღამობით მუშაობა, თავი კი იმით იმართლეს, ზედმეტი შრომისთვის ჯილდოს ვღებულობთო და ამგვარათ მათ შორის არეულობა შეიტანეს. უფროსები ამიტომ მუდა უსაყვედურობდენ დანარჩენ მოსამსახურეებს ისინი თუ კი მუშაობენ საღამობით თქვენ რა შეიქენყთ ამისთანაო. და რომ მათ შორის სულიერი კავშირი არ დარღვეულიყო, ვერც ამხანაგის დათხოვას გაბედავდენ უმიზეზოთ კერძო პირები და ვერც სხვა რამე ამის მსგავს. მაგრამ ნათქვამია: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. ამისთვის დიდი სიფრთხილე გმართებს, რომ მოქარგულმა სიტყვებმა ვაგლახათ არ მოგვხიბლოს და მტრის ანკესზე არ წამოვეგოთ, რაც ტანჯვა ვიწვნიეთ ვიკმაროთ გაკვეთილად.

გოგია მუშა.

---

### სალამი „ახ ლ ნაკადს“

ჩვენ შორიდან გულ წრფელ სალამს გიძღვნით მაშვრალთა და მუშათა ინტერესის გამომხატველ ორგანოს, და აგრეთვე გულ წრფელ და მხურვალე სალამს უძღვნით იმ პარტიებს, რომელთა უმთავრესი მიზანიარევოლიუციონური სინდიკალიზმის საშვალებით მუშათა კლასის უმწეო მდგომარეობის გაუმჯობესება.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საქართველოს რევოლიოციონური დემოკრატია სულ მალე შეიგნებს ამ ახალ პარტიის სიდიდეს, და მის წითელ დროშის გარშემო შემოიკრიბება ყველა ის მოძრავი ელემენტი, რომლის მეოხებით შეიძლება ჩვენი წმინდა იდეალის ცხოვრებაში გატარება.

ჩვენ ამ იმედით გასალ-კლდევებულნი მოუწოდებთ ამხანაგებს მხნე და ენერგიული მუშაობისაკენ, რომ მრავალ ტანჯულ მუშათა კლასმა ეღირსოს მყუდრო და თავისუფალ ცხოვრებას.

მიიღეთ გაზეთის ფონდისათვის ჩვენი მცირე წვლილი 10 მანეთი.

პატ. დანები **მარუსა და ზოზია კვირკველიები.**

დ. წალენჯიხა.

---

რედაქტორ-გამომცემელი.

**სარედაქციო-კოლეგია**

სტამბა ქართული გამომცემლ. ამხანაგობის“ ...